

The 3rd Teacher Conference "University and School" (Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

ერთი მეთოდი, როგორ გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების დადებითი მხარე

ლელა არბოლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ანოტაცია

სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის შეფასება და მოტივაციის ამალგების განცდა. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევისა და პრობლემის არსებობის შესახებ და ცოდნის ძირითადი განმსაზღვრელი ხდება

არადამაკმაყოფილებელი შეფასება ხშირად შეცდომის შიშის წარმოშობის მიზეზია. განმეორებით განცდილი წარუმატებლობა უარყოფით გავლენას ახდენს კომპეტენტურობის თვითშეფასებაზე, იწვევს უმწეობას, რაც მოსწავლის მოტივაციის დაქვეითების ან სულაც გაქრობის საბაზი ხდება.

მეთოდის არსი, რომელსაც განვიხილავთ, იმაში მდგომარეობს, რომ ტესტის შეფასებაში მასწავლებელთან ერთად მოსწავლეს ჩართულია, რაც პოზიტიური უკუკავშირის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის შეფასება და მოტივაციის ამალგების განცდა. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევისა და პრობლემის არსებობის შესახებ და ცოდნის ძირითადი განმსაზღვრელი ხდება, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრება დიდწილად მაღალი მოტივაციის დამსახურებაა, რომელიც სწავლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის შეფასება და მოტივაციის ამალგების განცდა. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევისა და პრობლემის არსებობის შესახებ და ცოდნის ძირითადი განმსაზღვრელი ხდება

დიმიტრი უზნაძე მოტივს ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს უწოდებდა. მოტივი არის ქცევის ახსნა.

ფსიქოლოგები მოტივის სამგვარ ფუნქციაზე საუბრობენ:

- მოტივი აღძრავს ქცევას;
- მოტივი აძლევს ქცევას მიმართულებას;
- მოტივი უზრუნველყოფს ქცევას.

ქცევითი დარღვევების თავიდან აცილება მხოლოდ ერთი გზით არის შესაძლებელი - მოსწავლე პატივს უნდა სცემდეს საკუთარ თავს. ის უნდა გრძნობდეს, რომ:

1. შეუძლია სასწავლო ამოცანის გადაწყვეტა;
2. შეუძლია, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობა ააგოს მასწავლებელთან;
3. შეაქვს თავისი წვლილი საკლასო კოლექტივში.

ასეთ ვითარებაში, მოსწავლეს აღარ გაუჩნდება სურვილი, დახარჯოს ენერჯია ცუდ ქცევაში.

მიიჩნევა, რომ მარცხი არის სასარგებლო გამოცდილება და კარგი მოტივაცია, რადგან შეცდომა გვიბიძგებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და ცოდნის გამყარებას უწყობს ხელს, მაგრამ ქრონიკულ მარცხს უამრავი პრობლემის შექმნა შეუძლია.

არადამაკმაყოფილებელი შეფასება ხშირად შეცდომის შიშის წარმოშობის მიზეზია. განმეორებით განცდილი წარუმატებლობა უარყოფით გავლენას ახდენს კომპეტენტურობის თვითშეფასებაზე, იწვევს უმწეობას, რაც მოსწავლის მოტივაციის დაქვეითების ან სულაც გაქრობის საბაზი ხდება.

მოსწავლის მოტივირება ნიშნავს _ უბიძგო მას ძველი ქცევა შეცვალოს ახლით. რაც თავის მხრივ, იმასაც გულისხმობს, დავებმართო მათ ”წარუმატებლობის შიშის” დამღევაში.

რადგან არავის სურს იყოს წარუმატებელი, შეცდომის დაშვების შიში, გადაულახავ დაბრკოლებად გვევლინება სწავლის პროცესში.

რწმენა, რომ ნიჭიერი ხარ, გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ნიჭიერების რეალური დონე, ყოველ შემთხვევაში, მოტივაციის თვალსაზრისით. რწმენა წარმატებას არა მარტო ფორმალურად, არამედ ემოციურადაც განგვაცდევინებს.

იმის მისაღწევად, რომ მოსწავლეს არ ჩამოუყალიბდეს მარცხის განცდით გამოწვეული დაბალი თვითშეფასება, მასწავლებელმა უნდა ცვალოს დავალებები სიმნელეების მიხედვით და შეფასების ისეთი მეთოდები გამოიყენოს, რაც მოსწავლეს იხსნის წარუმატებლობის ქრონიკული განცდისაგან.

მსგავსი შიშის დამღევა, ყველაზე მეტად, მიმდინარე და განმავითარებელი შეფასებით არის მისაღწევი.

თუკი, შეცდომას ბუნებრივ და საჭირო მოვლენად მივიჩნევთ, მაშინ მასთან დაკავშირებულ კომპლექსების დამღევასაც შევძლებთ. მასწავლებელმა უნდა დააჯეროს მოსწავლე, რომ წარმატება მისსავე ძალისხმევაზეა დამოკიდებული. რაც მიიღწევა შეცდომის გამოსწორებაზე დახარჯული შრომის და ძალისხმევის მეშვეობით.

ამდენად, მოსწავლეებში წარმატების რწმენის გამომუშავება, მასწავლებლის აუცილებელ სტრატეგიას უნდა წარმოადგენდეს.

მასწავლებელს შეუძლია, დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეს შეუცვალოს საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება, თუ აჩვენებს, რომ შეცდომა ყველას მოსდის და ეს ბუნებრივია.

მეთოდის არსი, რომელსაც განვიხილავთ, იმაში მდგომარეობს, რომ ტესტის შეფასებაში მასწავლებელთან ერთად მოსწავლეს ჩართულია, რაც პოზიტიური უკუკავშირის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

ტესტი მოსწავლის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

შეცდომის გასწორებაზე ორიენტირებული ტესტირება რამდენიმე ეტაპს უნდა მოიცავდეს.

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

1. მოსწავლე, რომელიც წინასწარ არის ინფორმირებული მოსალოდნელი ტესტირების შესახებ, ამზადებს საკითხებს რომელიც გამოყენებული იქნება ტესტის ღია ან დახურულ კითხვებში.
2. მას შემდეგ, რაც ტესტირება ჩატარდება წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში, მასწავლებელი იძლევა დავალებას, რათა მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გადაამოწმონ საკუთარი ცოდნა ტესტთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, აღმოაჩინონ დაშვებული შეცდომები (მათი არსებობის შემთხვევაში).
3. მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი კვლავ ურიგებს მოსწავლეებს ნამუშევრებს, აძლევს განსაზღვრულ დროს, საჭიროებიდან გამომდინარე, რათა მოსწავლემ თავად გადახედოს საკუთარ ნაშრომს, აღმოაჩინოს დაშვებული შეცდომა და შესწორებული შედეგი დააფიქსიროს ტესტის ბოლოს დართულ სქემაზე, სადაც განსაზღვრული იქნება შეცდომისა და მისი გასწორებული ვარიანტისთვის განკუთვნილი ადგილი (იხ. დანართი 1).
4. ბოლო ეტაპზე, მასწავლებელი ამოწმებს ტესტებს, აკეთებს ანალიზს დაშვებული შეცდომებიდან და გასწორებული ვარიანტიდან გამომდინარე და სწორ პასუხთან ერთად, აღმოჩენილ შეცდომებსაც აფასებს დადებითად.

ამდენად, მასწავლებელს საშუალება ეძლევა, შეაფასოს არა მარტო მოსწავლის ცოდნის ხარისხი, არამედ გააანალიზოს თუ რამდენად შეუძლია მას დაშვებული შეცდომის გასწორება. შეცდომის აღმოჩენა და გასწორება მოსწავლის ცოდნის გამყარების საფუძველს იძლევა.

მოსწავლის მიერ, ერთ ჯერზე გასწორებული ერთი ან ორი შეცდომა თვალნათლივ დაგვანახვებს, რომ შიშის დაძლევა უფრო მეტს მოგვცემს საბოლოოდ უკეთესი შედეგის მიზნით, ვიდრე წითლად აჭრელებული ნამუშევარი.

თუკი მოსწავლე დარწმუნებული იქნება იმაში, რომ შეცდომისთვის არ ”დაისჯება” (დაბალი ქულით არ შეფასდება) გაქრება წარუმატებლობის განცდა და მოტივაციის ხარისხიც გაიზრდება. აღმოჩენილი შეცდომის ანალიზი მოსწავლეს ცოდნის გამყარებაში დაეხმარება და მის ხანგრძლივ მეხსიერებაში გადატანას შეუწყობს ხელს, ხოლო ტესტირებას მოსწავლის თვალსაწიერისთვის უფრო სანდოს, ვალიდურს და ობიექტურს გახდის, რაც ტესტის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს.

აღნიშნული მეთოდი გუნდური მუშაობის დროსაც შეიძლება, რომ გამოვიყენოთ.

ამ შემთხვევაში ტესტი ჯგუფებად დანაწილებულ მოსწავლეებს ურიგდებათ ინდივიდუალურად. ტესტირების დასრულების შემდგომ, მოსწავლეები ერთმანეთს გადასცემენ საკუთარ ნამუშევრებს და დაშვებული შეცდომების აღმოჩენას და გასწორებას იწყებენ. თითოეულ ჯგუფში 3-4 მოსწავლეს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან პროცესი ერთფეროვანი და მოსაწყენი არ გახდეს.

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

კარგად ორგანიზებული გუნდური პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფს მუშაობის საერთო პროდუქტი გააჩნია, რომელზეც გუნდის ყველა წევრი ერთნაირად არის პასუხისმგებელი. ამდენად, გუნდურობის განცდა ჯგუფში დაპირისპირების მომენტს გამოიცხავს.

ასეთ ვითარებაში მოსწავლეები უფრო ხალისით, მონდომებით და მეტი სიზუსტით შეასრულებენ დავალებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები შინაგანი მოტივაციის წყალობით (მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა, აღმოაჩინონ შეცდომები, ცოდნისმოყვარეობაში გადაიზრდება) განიმტკიცებენ ცოდნას.

რა მიზანს ისახავს მოცემული სტრატეგია?

- ✓ აძლიერებს მოტივაციას.
- ✓ ააქტიურებს ათვისებულ ინფორმაციას.
- ✓ უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგს.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებული გამონათქვამი _ “ შეცდომებზე ვსწავლობთ ” ნებისმიერი ტესტის, განსაკუთრებით კი განმავითარებელი შეფასების ამოსავალი უნდა იყოს, რათა შეცდომა არა შიშის არამედ უკეთესი შედეგის გარანტი გახდეს.

დანართი 1. ტესტის გასწორების სქემის მოდელი

| საკითხის ნომერი | დაშვებული შეცდომა | გასწორებული ვარიანტი |
|-----------------|-------------------|----------------------|
| | | |
| | | |

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯაფარიძე. მ. მასწავლებლის წიგნი, თბ. 2013, ”მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი”.
2. სწავლება და შეფასება, თბ. 2009, ”მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი”.
3. მოვემზადდით მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის პროფესიულ უნარებში, თბ. 2011, ”ლიბო მინტ”.